

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N104/16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნათია მაჭარაშვილი (სტუდენტი)

1. საქმის ფაქტები

ადვოკატმა კლიენტს იურიდიული მომსახურება გაუწია ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე, კერძოდ, ადვოკატმა ჯერ ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს და შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით. მხარის მოთხოვნით ადმინისტრაციული საჩივარი დარჩა განუხილველი და სახელმწიფო ბაჟის თანხა სახელმწიფო ხაზინიდან გამოიტანა ადვოკატმა, რომელიც კლიენტისთვის არ დაუბრუნებია. კლიენტის პრეტენზია ეხებოდა სწორედ ამ საკითხს. კლიენტის საჩივარზე ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში კლიენტი მოიხსენია შემდეგი სიტყვებით: „ნაბიჭვარი“, ამასთან აღნიშნა, რომ „სახეს გაუნგრევდა, სადაც შეხვდებოდა“ და კოლეგიას სთხოვა კლიენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სატელეფონო საუბრისას ადვოკატმა კლიენტს უთხრა ფრაზა: „სადაც შეგხვდები თავს გაგინგრევ“.

2. პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დარღვეული იყო შემდეგი ნორმები: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1.

3. სამართლებრივი შეფასება

ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. ადვოკატის ყველა მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის მოთხოვნებს. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. აღნიშნული პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება. ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს. ადვოკატი ვალდებულია არა მარტო სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს სცეს პატივი, არამედ იგივე ვალდებულია აქვს ადვოკატს საქმის განხილველ სხვა ორგანოებში მოქმედი ქცევის წესების მიმართაც. ადვოკატს მოქალაქესთან შედარებით მეტი თმენის ვალდებულება აქვს, რაც გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარის მოქმედებაზე რეაგირების ისეთი ფორმების შერჩევის უზრუნველყოფას, რომლითაც არ დაირღვევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის წესები.

განსახილველ შემთხვევაში, კლიენტმა ეთიკის კომისიას პრეტენზიით მიმართა ადვოკატის წინააღმდეგ, რადგან ადვოკატმა კლიენტს არ დაუბრუნა ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების გამო სახელმწიფო ხაზინიდან გამოტანილი სახელმწიფო ბაჟი. ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში კლიენტი მოიხსენია შემდეგი სიტყვებით: „ნაბიჭვარი“, ამასთან აღნიშნა, რომ „სახეს გაუნგრევდა, სადაც შეხვდებოდა“ და კოლეგიას სთხოვა კლიენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეთიკის

¹ <https://www.gba.ge/pdf/5d1b24c0ba57e.pdf/104.16%2006.10.2017%20gaftrtileba.pdf>

კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის ამ ფორმით მოხსენიება, სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლების ზღვარს, ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვასა და ადვოკატის მიერ მხარის, ყოფილი კლიენტის უფლებების შელახვას წარმოადგენს.

3.დასკვნა

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა შელახა პროცესის მონაწილის - კლიენტის უფლებები, რითაც დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1. ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განსაზღვრა გაფრთხილება.